

## ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

### სხდომის ოქმი N1

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

18.01.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -*ალექსანდრე ლილუაშვილი*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი: -*ალექსანდრე ლილუაშვილი*, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა მაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ჩიკვაიძე, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, გელა ღვიტიძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი -  
**ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის  
მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში -**ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -**ივანე მამფორია**.

მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **ნარგიზი ალფაიძე**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14:00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხს./ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N40 დადგენილების დანართი N 2-ში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს./ნარგიზი ალფაიძე/

**დაადგინოს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019 წლის შემოსულობები იზრდება 2350,4 ათასი ლარით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხით. გადასახდელები იზრდება 5967,1 ათასი ლარით, საიდანაც 3616,7 ათასი ლარი წარმოადგენს 2019

წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებულ ნაშთს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე. N2577 განკარგულებით შესრულდება ზედავანი- გადიდის, ამაღლება-საპრასიის, სულორის, ბზვანის, ქ ვანში ჩუგნაძისა და სოლომონ მეორის შესახვევის, თავისუფლების მესამე, მეოთხე მეხუთე და მეექვსე შესახვევებში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე – 28

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

(დანართი: დადგენილება N1)

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძე წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N40 დადგენილების დანართი N 3-ში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ N40 დადგენილების დანართში შევიდა ერთი ცვლილება, კერძოდ აიტის თანამშრომელს გაეზაედა თანამდებობრივი სარგო 50 (ორმაცდაათი) ლარით.

მომხრე – 28

წინააღმდეგი – არცერთი

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N40 დადგენილების დანართი N 3-ში ცვლილების შეტანის  
თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N2).

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა  
დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე

